

# ყრილობის შესახვედრად!

კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, საბჭოთა ხალხმა აჰშენა სოციალიზმი.

პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით საბჭოთა ხალხი ააშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

პარტია საქვეყნოდ აცხადებს: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

27 სექტემბერი
ოთხშაბათი,
1961 წ.
№ 151 (1787)
გამოცემის მე-18 წელი,
ფასი 3 კაპ.

## გადავცემთ გამოცდილებას

ქართველი ქალი და სპორტსმენი? — მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი ამ ორი ცნების შერწყმა. მშობლიური პარტიის ზრუნვამ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობაზე არც სპორტული უბანი დასტოვა უყურადღებოდ და კარჩაკეტილი ქართველი ქალი საერთაშორისო სარბიელზე გაიყვანა.

ახლა, ამ ღირსშესანიშნავ დღეს, როცა საქართველოს კომუნისტური პარტია თავისი XXI ყრილობის გახსნით, კიდევ ერთ ნაბიჯს სდგამს ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, მინდა ვუსურვო ჩვენს ოსტატებსა და მწვრთნელებს, რათა უფრო ახლო მივიდნენ თავიანთ აღსაზრდელებთან, საკუთარი მაგალითით მიიზიდონ ისინი ფიზკულტურასა და სპორტში, მეტი ყურადღება გამოიჩინონ მშობლიური სპორტის წინსვლისათვის. ეს იქნება კომუნისტური პარტიის ჩვენზე ზრუნვის თავისებური სამადლობელი.

**მ. ჯულელი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი, საზოგადოებრივი მწვრთნელი.

## მშობლიური მზრუნველობით

საბჭოთა საქართველოზე ერთი წლით გვიან დაბადებული, ვიზრდებოდი და ვვაჟკაცდებოდი მასთან ერთად. მისი ყოველი მიღწევისა და წარმატების თანამედროვე, მოხარული ვარ შევეგებო მომავალ გამარჯვებათა ახალ საწინდარს — საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას.

სად იყო ჩემს ბავშვობაში იმდენი ფეხბურთელი, რამდენიც ახლა? აი მშობლიური პარტიის ახალგაზრდობაზე ზრუნვის ეს თითქოს და ერთი შეხედვით უბრალო მაგალითი. და განა მარტო ეს? ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ სპორტი ჭეშმარიტად სახალხო მოძრაობად გადაქცეულიყო და მშრომელი ხალხის ცხოვრების თანაზიარი გამხდარიყო?

მე როგორც ფეხბურთის ვეტერანი და „დინამოს" გამარჯვებათა თანამონაწილე, რწმენას გამოვთქვამ, რომ ტყავის ბურთის ოსტატები ყველაფერს გააკეთებენ რესპუბლიკის საყვარელი გუნდის გასაძლიერებლად, გუნდისა, რომელსაც შეუძლია თავისი სიტყვა თქვას საკავშირო პირველობასა და თასის გათამაშებაში, გუნდისა, რომელსაც არა ერთი საერთაშორისო კლასის ფეხბურთელის მიცემა შეუძლია ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდისათვის.

**ა. დოდობერიძე,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი.

## ახალი ენერგიით — ახლებურად

ამ ბედნიერ დღეს, როცა მთელი ქართველი ხალხი დიდი შრომითი აღმავლობით აღნიშნავს ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გახსნას, მე — მრავლის მომსწრემ და მნახველმა არ შემიძლია ერთხელ კიდევ არ გადავავლო თვალი განვლილ გზას და აღტაცება არ გამოვხატო იმ გრანდიოზული გარდაქმნების გამო, რასაც ქართველმა ხალხმა მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია.

ვინ იფიქრებდა ოდესმე, რომ ცარიზმის პირობებში დამონებული და შემდეგ მენშევიკების მიერ უცხოელთათვის საჯიჯგნად განწირული საქართველო თავისი სპორტული ძლიერებით უკან ჩამოიტოვებდა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს? — არავინ! მაგრამ ოქტომბრის გრიგალმა საქართველოს თავზე ჩამოწოლილი ღრუბლები გაფანტა და ის, რაზედაც ოცნებაც არ შეგვეძლო, მე და ჩემ თანატოლ სპორტის მოყვარულებს, ობიექტურ რეალობად აქცია საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

ჩემი თაობის ვეტერანები, ყრილობის საპასუხოდ, ახლებურად — ჩვეული ენერგიით, შევეცდებით გამოცდილება გადავცეთ დიადი ეპოქის შვილებს.

**გ. ჩიკვაიძე,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

## სულ უფრო ხშირად

ქართველ ფალავანთა სახელმა თავისი ჭეშმარიტი აღიარება და ადგილი მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში ჰპოვა.

ჭიდაობის რთული ილეთების დაუფლება, ის, რასაც ჩვენი წინაპრები მტერთან საბრძოლველად იყენებდნენ, დღეს მშრომელთა ფიზიკური გაჯანსაღების ერთ-ერთ საუკეთესო ფორმადაა მიღებული და ვაჟკაცური სპორტის სადემონსტრაციოდაა გადაქცეული.

ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი საბჭოთა სპორტის განვითარებაში, მაგრამ დღეს, როცა საქართველოს კომუნისტური პარტია ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის მორიგ ნაბიჯსა სდგამს და ხსნის თავის XXI ყრილობას ჩვენს თავს ვუსვამთ კითხვას — გავაკეთეთ თუ არა ჩვენ — ჭიდაობის ვეტერანებმა ყველაფერი, ჩვენგან დამოკიდებული?

არა, საქმეები ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს და პარტიის ყრილობის საპასუხოდ მუშაობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონთა რიგებში სულ უფრო ხშირად ჩანდნენ ჩვენი აღზრდილი სპორტსმენები.

**ვ. ბალავაძე,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად და რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობის მიზნით, საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც სპორტკავშირების რაიონულ, საქალაქო, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოებს, აგრეთვე უწყებათა და სპორტსაზოგადოებათა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ავალებს: მიმდინარე წლის 30 ოქტომბრამდე ჩაატარონ შეჯიბრებები და შიდა-



## ყრილობის შესახვედრად

საკოლექტივო სპარტაკიადები არანაკლებ სამ სახეობაში (მათ შორის მძლეოსნობაში) მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი.

15 ოქტომბერს, კვირას, რაიონებსა და ქალაქებში მოეწყოს ამ თარიღისადმი მიძღვნილი მძლეოსნური კროსები, სადაც განსაზღვრულია შემდეგი დისტანციები: 15-16 წლის ჭაბუკებისათვის — 500 მეტრი, ამავე ასაკის გოგონებისათვის — 300 მეტრი, 17-18 წლის გოგონებისათვის — 500 მეტრი, ჭაბუკებისათვის — 800 მეტრი, ქალებისათვის — 500, 800 მეტრი, მამაკაცებისათვის — 1.500, 3.000, 5.000 მეტრი.





სურათებზე: ასე იწყება ყოველი დღე სურამის პროფტექნიკურ სასწავლებელში. დილის გამამხნევებელი ვარჯიში ყოველდღიურ მოთხოვნილებად გადაექცათ ახალგაზრდებს (სურათი ქვევით). გ. ბარბაქაძის აღზრდილები არ კმაყოფილდებიან მიღწეულით, რეგულარული ვარჯიშით სრულყოფენ ჭიდაობის ტექნიკას (სურათი ზევით, მარცხნივ), ხოლო მძლეოსნები რაიონის პირველობისათვის ვარჯიშს ატარებენ საკუთარ ბაზებზე. (სურათზე მარჯვნივ).

# ჯანმრთელ სხეულში

სპეციალური კომისია კარგახანს არჩევდა ადგილს, მაგრამ უკეთესს ვერსად მიაკვლიეს. ვერც ინატრებდნენ, ბავშვთა ამ შესანიშნავ საგარაკო ადგილს არაფერი შეედრებოდა ჰაერით, ადგილმდებარეობითა და მოხერხებულობით. ყველამ მოიწონა იგი. ერთხმად გადაწყდა: რესპუბლიკაში ერთადერთი პროფტექნიკური სასწავლებელი უღელტეხილის დასაწყისში, სურამში გახსნილიყო, აქ ჩაყრილიყო საშუალო განათლების სპეციალისტთა აღზრდის კერის საფუძველი, აქ მომზადებულიყო მუშათა კვალიფიციური რეზერვი.

## სწავლების პირველი წელი

ხარატობის, ზეინკლობის, მეავეჯეობის, ელექტრომექანიკოსობის პროფესიის ასათვისებლად მოსულ ჭაბუკებს (გოგონები ამ სკოლაში არ სწავლობენ) ყველა ძირითადი პირობა დახვდათ ნაყოფიერი საქმიანობისათვის. 100-ზე მეტმა ახალგაზრდამ გამოთქვა მაშინ აქ სწავლისა და ცხოვრების სურვილი და ყოველ თავისუფალ დროს დაუღალავად, ენერგიულად, საქმის სიყვარულით ამთავრებდნენ დარჩენილ მეორეხარისხოვან სამუშაოებს, წესრიგში მოჰყავდათ სასადილო, საცხოვრებელ ბინებთან მისასვლელი, საამქროები. გაჩაღდა სპორტული ბაზების მოწყობა. სულ მალე სასწავლებლების ვრცელ ეზოში გაჩნდა ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები და სახტომი ორმოები, რადგან მათ ყველაზე მეტად საჭიროებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილი ბიჭუნები.

ჭიდაობაში, სროლაში, ჭადრაკში მეცადინეობის სურვილი ბევრმა გამოთქვა. ყველას კი ერთი ხელმძღვანელი ბირთვი სჭირდებოდა და შექმნეს კიდევაც ფიზკულტურული საბჭო. გადიოდა დღეები, ფართოვდებოდა სასადილო, საცხოვრებელი, კაბინეტ-ლაბორატორიები, საამქროები, სპორტული ბაზები, იზრდებოდა სწავლის მსურველთა რაოდენობა, დღის წესრიგში დადგა სპორტის გეოგრაფიის გაზრდის აუცილებლობაც და ახლა სექციების რაოდენობამ 14-ს მიაღწია.

საგრძნობლად იმატა სექციებში მომეცადინეთა რაოდენობამაც. ფიზაღზრდის ინსტრუქტორი თ. ცუცქირიძე მარტო ველარ აუდიოდა საქმეს, მის დამხმარე მოსწავლეთა აქტივსაც გაუჭირდა, მაშინ ისევ პედაგოგები მოვიდნენ დასახმარებლად კულტაღზრდის დარგში დირექტორის მოადგილის ა. დიდებულიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც სპეციალური ფიზკულტურული განათლება აქვს და კარგად იცის თავისი საქმე. მიიწურა სწავლების პირველი წელი და ფიზკულტურული კოლექტივი იმდენად დაძვალმსხვილდა, რომ თავის ძალა აგრძნობინა ყველას „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე.

## ჭიდაობის სპეციალისტი

სპორტის ოსტატი გ. ბარბაქაძე ჩამოსვლისთანავე ჩადგა სასწავლებლის სპორტული საქმიანობის ფერხულში. დირექტორმა ჭ. გუჯეჯიანმა, რომელიც ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს ხელმძღვანელობს, სპეციალური თათბირი მოიწვია, დასახეს მომავლის გეგმები, გადახალისდა სექციების მუშაობის გრაფიკი. სწავლების უკვე მეორე წელს ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. თანდათან გაიზარდა სწავლის ნაყოფიერება, ამაღლდა სპორტსმენთა მაჩვენებლები. შიდასაკოლექტივო, რაიონულ და რესპუბლიკურ მასშტაბის შეჯიბრებებზე თანატოლთა პირველმა წარმატებებმა წაახალისა სხვები და ახლა სექციებში მუშაობის სურვილი გამოთქვეს ისეთებმაც, რომლებიც მანამდე მხოლოდ გულშემატკივრობდნენ.

სპორტულ სექციებში მომეცადინეთა რიცხვმა 280-ს გადააჭარბა. განსაკუთრებით დაინტერესდნენ ახალგაზრდები ჭიდაობებით. 26 მოსწავლე გაერთიანდა თავისუფალი ჭიდაობის სექციაში, 24-მა გამოთქვა კლასიკური ჭიდაობის ილეთების ათვისების სურვილი, 29-მ ქართული ჭიდაობა ამჯობინა. სამი გუნდისათვის საჭირო რიცხვმა მოიყარა თავი ფეხბურთის სექციაში, 59 სპორტსმენმა —მძლეოსნობაში და, ასე გასინჯეთ, სათხილამურო სპორტსაც კი გაუჩნდა თაყვანისმცემლები. ისინი ოცნი არიან, რომ არაფერი ვთქვათ სროლის, კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და სხვა სახეობათა სექციებზე. უკვე აღარ კმაროდა ბაზები, აშკარა გახდა მათი სიმცირე და... კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილება მოკლე ხანში განხორციელდა, საერთო საცხოვრებლებთან „გაჩნდა" ტანვარჯიშული ქალაქი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

და როგორ ფიქრობთ, განა ყველა მათგანს გაწვდებიან თ. ცუცქირიძე, გ. ბარბაქაძე და სხვა პედაგოგები? რა თქმა უნდა, არა...

## ფიზკულტურული აქტივი

ასე მაგალითად, მწვრთნელს ქართულ ჭიდაობაში ეხმარება სასწავლებლის კომენდანტი პირველთანრიგოსანი გ. ქურდაძე, მაგიდის ჩოგბურთში — აღმზრდელი ე. ქიტიაშვილი, ველოსპორტში — საწარმოო სწავლების ოსტატი გ. კვერნაძე, ტანვარჯიშში — აღმზრდელი ვ. გოილაძე და სახარატო ჯგუფის სწავლების ოსტატი პირველთანრიგოსანი ს. კობალაძე, ფრენბურთში — მოსწავლე, 11 თანრიგოსანი მ. ბოლოკაძე. ჭადრაკსა და შაშს ხელმძღვანელობენ აღმზრდელი ს. გურეშიძე და მათემატიკის მასწავლებელი გ. ლომიძე, ტყვიით სროლას — ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი გ. ჩინჩალაძე და სხვანი. ასე, რომ სასწავლებელში არასოდეს ცდება გრაფიკით გათვალისწინებული სექციების მეცადინეობანი.

მთლიანად აქტივს მიჰყავს შიდასაკოლექტივო შეჯიბრებანიც. საზოგადოებრივ მსაჯებს, რომლებიც მოსწავლეთა რიგებიდან მზადდება, თავიანთ კისერზე გადააქვთ თითქმის ყველა ღონისძიება.

მალე გასცდა საკუთარ კედლებს უღელტეხილის დასაწყისში შექმნილი სასწავლებლის სპორტული კოლექტივის სახელი, ახლა მის შესახებ ლაპარაკობდნენ ხაშურის რაიონში, რესპუბლიკაში. „შრომითი რეზერვების" ორ უკანასკნელ სპარტაკიადაზე ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. პირველად მოჭიდავეებმა გააცნეს თავიანთი სასწავლებელი თბილისში რესპუბლიკური საბჭოს პირველობაზე შეკრებილთ. წელს კიდევ ერთხელ ისახელეს თავი — პირველი ადგილი მოიპოვეს კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, მათ არ ჩამორჩნენ წყალში მხტომელები, მსროლელები, მოჭადრაკენი და მოშაშენი, ყველა ამან კი საერთო მესამე ადგილი მოუტანა სასწავლებელს 19 კოლექტივს შორის.

პირადშიც ბევრმა ისახელა თავი. კლასიკურ ჭიდაობაში რესპუბლიკაში უძლიერესის სახელი დაიმკვიდრეს პირველთანრიგოსნებმა შ. ჯეირანიშვილმა, ი. ბენდელიანმა, გ. ჯაფარიძემ, მეორენი იყვნენ ბ. გელაშვილი, თ. ავალიანი, მესამე— თ. გელაშვილი და ე. ჭკადუა. ასევე 8 წონიდან 7 შემთხვევაში საპრიზოზე გამოვიდნენ თავისუფალ ჭიდაობაში. ბ. გელაშვილი, ი. ჯავახიშვილი, ჯ. ფატარიძე ჩემპიონები გახდნენ, სხვებმა მოიპოვეს მეორე ადგილები. მათ სათანადო წვლილი შეიტანეს „შრომითი რეზერვების" საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს გუნდის გამარჯვებაში და ყველაფერი ეს მიღწეულია იმით, რომ სასწავლებელში დაკანონდა დევიზი:

## ..."ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის"

ამ დევიზით ხელმძღვანელობამ სხვა წარმატებათა მოპოვების საშუალებაც მისცა კოლექტივს. იგი 4 წლისაა და უკვე ჰყავს 10 პირველი, 36 მეორე, 171 მესამეთანრიგოსანი, ე. ი. თითქმის ყველა მოსწავლეს აქვს მოპოვებული თანრიგი და ეს არცაა გასაკვირი, რადგან აღმზრდელთა და პედაგოგთაგანაც კი არავინაა დარჩენილი სპორტის გარეშე. ასე, ხელიხელჩაკიდებულებს გააქვთ ყოველთვის ლელო. მარტო შარშან თითო სპორტსმენმა (უკეთ რომ ვთქვათ, თვითეულმა მოსწავლემ) 6 ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა...

... გათენდა, საყვირის ხმამ შეძრა მრავლის მოწმე სურამის ციხის ნანგრევები, საცხოვრებელთა შორის მოწყობილ მოედანზე სირბილით გამოვიდნენ ჯანმაგარი, ხორბლისფერკუნთებიანი ჭაბუკები, სწრაფად მოეწყვნენ და... ათ წუთს გაგრძელდა დილის გამამხნევებელი ვარჯიში. სპორტით დაიწყო მორიგი დღე სურამის პროფტექნიკურ სასწავლებელში. ...და ყოველდღე ყველაფერი წინასწარ შედგენილი რეჟიმის მიხედვით ხდება. ყველაფერს ასწრებენ — სწავლას, შრომას, სპორტს, დასვენებას.

დიდი გეგმები აქვთ ახლახან დაწყებული მეხუთე სასწავლო წლისათვის აქ. მიმდინარე სასწავლო წელს მოეწყობა პირველი გამოშვება. 50 მაღალი თანრიგის მეავეჯე და ელექტროსაქმის სპეციალისტი დატოვებს სასწავლებელს, მაგრამ არასოდეს დაივიწყებს მას, სადაც შედგა ფეხი ცხოვრების სწორ, ნათელ გზაზე, სადაც შეიგნო და შეისისხლხორცა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა და სიყვარული და როცა დამოუკიდებელი ცხოვრების საგზურებს მიიღებენ, თანდათან, პატიოსანი შრომით გადაიხდიან მათზე გაწეულ ამაგს.

ო. გელაშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.



# —მადლობა პარტიას მამობრივი ზრუნვისათვის! - ამბობენ სურამელი მოსწავლეები.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 27 სექტემბრისათვის

### მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 27 | 18 | 6 | 3 | 54—22 | 42 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 27 | 16 | 7 | 4 | 55—22 | 39 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 28 | 13 | 8 | 7 | 35—23 | 34 |
| „ლოკომოტივი" (გომელი) | 26 | 12 | 6 | 8 | 34—23 | 30 |
| „დინამო" (ბათუმი) | 27 | 9 | 12 | 6 | 33—27 | 30 |
| „ხიმიკი" (მოგილიოვი) | 26 | 11 | 8 | 1 | 39—34 | 30 |
| რეზ-ი (რიგა) | 27 | 11 | 7 | 9 | 48—37 | 29 |
| „რიწა" (სოხუმი) | 25 | 11 | 4 | 10 | 39—30 | 26 |
| „კრ. ზნამია" (ვიტებსკი) | 26 | 9 | 7 | 10 | 36—42 | 25 |
| ქ. ბობრუისკი | 25 | 6 | 9 | 10 | 24—36 | 21 |
| სკშ (ტალინი) | 27 | 7 | 7 | 13 | 30—45 | 21 |
| „პიშჩევიკი" (ტირასპოლი) | 26 | 8 | 5 | 13 | 30—45 | 21 |
| „ნისტრული" (ბენდერი) | 27 | 7 | 7 | 13 | 29—49 | 21 |
| „ბანგა" (კაუნასი) | 26 | 8 | 4 | 14 | 25—37 | 20 |
| „სელმაში" (ლიეპაია) | 28 | 5 | 9 | 14 | 31—46 | 19 |
| „სპარტაკი" (ბრესტი) | 26 | 4 | 6 | 16 | 18—41 | 14 |

### მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 26 | 15 | 7 | 4 | 58—22 | 37 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 25 | 18 | 1 | 6 | 44—20 | 37 |
| „კოპეტ-დაგი" (აშხაბადი) | 26 | 14 | 4 | 8 | 46—36 | 32 |
| „ნაირი" (ერევანი) | 25 | 13 | 5 | 7 | 53—39 | 31 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 23 | 13 | 5 | 5 | 39—28 | 31 |
| „ტექსტილშჩიკი" (კიროვაბადი) | 26 | 13 | 3 | 10 | 36—39 | 29 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 27 | 11 | 4 | 12 | 41—44 | 26 |
| „მეტალურგი" (ჩიმკენტი) | 25 | 9 | 7 | 9 | 47—44 | 25 |
| „ენერგეტიკი" (სტალინაბადი) | 25 | 9 | 6 | 10 | 39—42 | 24 |
| „ტემპი" (სუმგაითი) | 24 | 9 | 5 | 10 | 31—34 | 23 |
| „პამირი" (ლენინაბადი) | 28 | 9 | 4 | 15 | 38—47 | 22 |
| „სტარტი" (ტაშკენტი) | 23 | 9 | 3 | 11 | 27—33 | 21 |
| „მეტალისტი" (ჯამბული) | 27 | 6 | 7 | 14 | 25—47 | 19 |
| „დინამო" (სამარყანდი) | 26 | 6 | 6 | 14 | 33—67 | 18 |
| „სპარტაკი" (ბაქო) | 18 | 7 | 2 | 9 | 20—25 | 16 |
| „სპარტაკი" (ფერგანა) | 26 | 5 | 4 | 17 | 35—50 | 14 |

## მატჩი მოსკოვში

მოსკოვი. (ტელეფონით). მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულთა შორის. მაყურებელთა იმედი გამართლდა. პირველიდან უკანასკნელ წუთამდე მატჩი დაძაბულად მიმდინარეობდა და დამარცხების მიუხედავად დინამოელებმა აჩვენეს შესანიშნავი თამაში.

მატჩის პირველი ნახევრის მე-12 წუთზე ნეტომ გახსნა ანგარიში, მაგრამ შუა ტაიმში (24-ე წუთზე) მესხის მიწოდებიდან კალოევმა თავური გარტყმით გაათანაბრა ანგარიში. თბილისელთა შეუნელებელი იერიშები გრძელდებოდა დიდხანს და მელაშვილმა მოულოდნელი, ძლიერი დარტყმით წინ გაიყვანა „დინამო" — 2:1. შესვენებამდე ორი წუთით ადრე ჰუსაინოვმა კვლავ გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

შესვენების შემდეგ, მატჩის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე, ისაევმა გაიტანა გადამწყვეტი გოლი, რამაც გამარჯვება მოუტანა „სპარტაკს" — 3:2.

## გათამაშების ცხრილი

I-X ადგილები

მდგომარეობა 27 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 25 | 18 | 2 | 5 | 61—27 | 38 |
| „დინამო" (კიევი) | 25 | 15 | 7 | 3 | 48—22 | 37 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 25 | 15 | 5 | 5 | 52—28 | 35 |
| ც ს კ ა | 25 | 15 | 3 | 7 | 57—38 | 33 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 24 | 11 | 9 | 4 | 43—29 | 31 |
| „დინამო" (თბილისი) | 25 | 12 | 6 | 7 | 46—28 | 30 |
| „სპარტაკი" (ერევანი) | 25 | 9 | 9 | 7 | 34—34 | 27 |
| „ავანგარდი" (ხარკოვი) | 25 | 10 | 7 | 8 | 24—24 | 27 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 24 | 10 | 6 | 8 | 36—46 | 26 |
| ს კ ა (როსტოვი) | 25 | 10 | 5 | 10 | 49—30 | 25 |

* * *

გუშინ გაიმართა კიდევ სამი მატჩი. კიევში ადგილობრივი „დინამოს" წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის „ლოკომოტივი". მატჩი დამთავრდა ფრედ ანგარიშით 2:2.

ერევნის „სპარტაკმა" საკუთარ მოედანზე მიიღო როსტოვის არმიელთა გუნდი. გაიმარჯვეს როსტოველებმა — 5:2. ტაშკენტში თამაშობდნენ ადგილობრივი „პახტაკორი" და ხარკოვის „ავანგარდი". შეხვედრა მოიგო „პახტაკორმა" — 3:1.

## მორიგი გამარჯვება

გუშინ, თბილისში, „ბურევესტნიკის" სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი საბჭოთა კავშირის თასზე ფიზკულტურის კოლექტივებისათვის. თამაშობდნენ საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტისა და პავლოვსკაიას „უროჟაის" ფეხბურთელთა კოლექტივები.

პირველ ტაიმში ჯიბლაძემ გაიტანა ერთი ბურთი. მეორე ნახევარში სტუდენტთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა გელაშვილმა მეორე გოლი გაიტანა — 2:0.

მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე სტუმრებმა შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა (მიკრონასი) და დამარცხებულებმა დასტოვეს მოედანი.

## კვლავ დამარცხება

ქუთაისი. (ტელეფონით). თბილისში გამართული ორი მატჩის შემდეგ რუმინეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ეწვიენენ ქუთაისს და ჩაატარეს მესამე საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. ამჯერად რუმინელებმა უფრო საპატიო შედეგს მიაღწიეს, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ ასცდნენ.

უმჩატეს წონაში ზ. მონასელიძემ მე-6 წუთზე წმინდად დაამარცხა გ. ტაპალაგა, მჩატე წონაში ფრედ დამთავრდა ზ. შეურილაძისა და ი. ვასილეს ორთაბრძოლა. ქვემსუბუქ წონაში ბესტავაშვილმა მესამე წუთზე მოუგო პ. პოალელუნგის, მსუბუქ წონაში ერგემლიძე ძლივს გადურჩა დამარცხებას და ბოლოს ფრეს მიაღწია. ტამპამ წმინდად წააგო ცხოვრებოვთან (ქვესაშუალო წონა). კვლავ ისახელა თავი ფ. ბალამ. მან ქულებით დაამარცხა ზ. ლომიძე. ქვემძიმე და მძიმე წონებში გამარჯვება დარჩათ ქართველ სპორტსმენებს — გ. გობეჯიშვილსა და ა. ხითარიშვილს.

მატჩის ანგარიშია — 6:2 საქართველოს მოჭიდავეთა სასარგებლოდ.

ლ. ფაჩუაშვილი

## ქ. შლეხტერის ხსოვნის ტურნირზე

წარსულში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ავსტრიელი გროსმაისტერი კარლ შლეხტერი. 1910 წელს მან მატჩიც კი ითამაშა ემ. ლასკერთან მსოფლიო ჩემპიონის სახელზე, რომელიც ყაიმით (5:5) დამთავრდა. ჭადრაკის ისტორიაში კ. შლეხტერი შევიდა როგორც ე. წ. „ვენური სკოლის" ფუძემდებელი.

დიდი მოჭადრაკის ხსოვნის პატივსაცემად ავსტრიის საჭადრაკო ფედერაციამ ვენაში მოაწყო საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში, რომელიც ახლაც გრძელდება, მონაწილეობს 7 გროსმაისტერი, 3 საერთაშორისო და ერთი ეროვნული ოსტატი.

მძაფრ ბრძოლებში განვლო ოთხმა ტურმა, წინ არიან ავერბახი, ფილიპი (3,5 ქულა თვითეულს), ბარცა (2,5 ქულა) და რობაჩი (2 ქულა).



სურათზე: თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი, რომელმაც საკავშირო პირველობაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. პირველ რიგში (მარცხნიდან) — გ. მინაშვილი, ა. კილაძე, ვ. უგრეხელიძე, ვ. კეკელიძე, ლ. ინწკირველი. მეორე რიგში — ა. ლეჟავა, ს. მალალაშვილი. ა. სხირელი, ი. საზარაძე, ლ. მოსეშვილი, ვ. ალტაბაევი, რ. გოგელია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ქონქურსი „ეტიუდისათვის"



> 1-ლი ოქტომბრიდან ჟიური შეუდგება შემოსული მასალების განხილვას

ჩვენი გაზეთის საერთაშორისო საჭადრაკო კონკურსზე (ეტიუდების შედგენაში) კვლავ შემოდის წერილები ახალ-ახალი ნაწარმოებებით. უკანასკნელ ხანებში ჟიურიმ მიიღო 12 ეტიუდი, რომელთა შორის არის გამოჩენილი საბჭოთა ეტიუდისტების ოსტატების ჰ. კასპარიანისა და ა. გურვიჩის ერთობლივი ეტიუდი, ა. გერბსტმანის, ა. გურვიჩის, ვ. კოროლკოვის, იუგოსლაველი ზ. კოვაჩიჩის, რუმინელი კ. ბადულესკუს ნაწარმოებები.

კონკურსზე ბედს ცდიან ახალბედებიც. ისინი აგზავნიან თითო ეტიუდს და თხოულობენ ახლავე ვაცნობოთ პასუხი მათი ნამუშევრის ავკარგიანობის შესახებ. მოსწავლე ო. ფილიპოვმა (ვოლოგდის ოლქიდან) კონკურსზე გამოგზავნა პლაკატად შესრულებული ეტიუდი.

კონკურსის ჟიურის ნებართვით ვაქვეყნებთ მოსკოველი ა. გურვიჩის ეტიუდს.

ა. გურვიჩი (მოსკოვი)



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს.

ზოგი ეტიუდისტი გვწერს თავის კმაყოფილებას კონკურსის გამართვის გამო. მათ სურთ, რომ კონკურსი გადაიქცეს ყველა ქვეყნის ეტიუდისტთა მეგობრობის და ურთიერთთანამშრომლობის გამოხატულებად. ჩვენი კონკურსი ეხმაურება მათ სურვილებს.

როგორც კონკურსის ჟიური გვატყობინებს, კონკურსზე შემოსულია 82 ეტიუდი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკიდან. მაგრამ საქართველოს ეტიუდისტებმა მხოლოდ ორიოდე ნაწარმოები გამოაგზავნეს.

## ფინიშის წინ

XIV ტურში ლიდერთა ხუთეულიდან მხოლოდ ტალმა და კერესმა დაამთავრეს პარტიები. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ყაიმზე შეუთანხმდა დარგას, ხოლო კერესა ტრიფუნოვიჩს. დანარჩენი პარტიები გადაიდო: ფიშერის უდოვიჩთან, პეტროსიანის ბერტოკთან და გლიგორიჩის მატანოვიჩთან, ლიდერთა ჯგუფში კვლავ გაურკვევლობაა.

სხვა შეხვედრებში პარმამ მოუგო ოლაფსონს, ბისჰაიერმა — ივკოვს, ნაიდორფმა — გერმეკს. ყაიმით დასრულდა პახმან — პორტიშის პარტია.

წინაა ფინიში. აქ, ხუთ ტურში მოსალოდნელია „სისხლისმღვრელი" ბრძოლა. ვის როგორი შანსები აქვს ამ ბრძოლაში? ფიშერს ძნელი მეტოქეები დარჩა კერესისა და პეტროსიანის სახით, რომლებიც თვითონ აცხადებენ პრეტენზიას მაღალ ადგილზე. უეჭველია მათი შეხვედრა ყურადღებას მიიპყრობს. ტალს შედარებით იოლი პარტნიორები ჰყავს, ისინი არ შედიან ლიდერთა ჯგუფში. ამიტომ ტალს პრაქტიკულად პირველი ადგილისათვის უკეთესი შანსები გააჩნია. პეტროსიანის პრეტენზიებიც ყურადსაღებია. საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ორი გადადებული პარტია აქვს, ორივეს მოგების შემთხვევაში იგი ეწევა ტალს. მაგრამ ფინიშზე მას ძნელი პარტნიორები რჩება: კერესი, ფიშერი და გლიგორიჩი. თითქმის ერთნაირ შანსებს ინარჩუნებენ კერესი და გლიგორიჩი. მათაც დარჩათ სერიოზული პარტიები მთავარ კონკურენტებთან.

XIV ტურის შემდეგ ტალს 10 ქულა აქვს, ფიშერს — 9,5 და ერთი გადადებული პარტია, კერესსა და გლიგორიჩს — 8,5 თვითეულს, პეტროსიანს — 8 და ორი გადადებული პარტია.

ლ ე ლ ო

**ოქტომბერში თბილისში ჩატარდება მიმდინარე სპორტული სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი შეჯიბრება—საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. ვაქვეყნებთ მასალებს შეჯიბრების მონაწილეებზე.**





# ჩემპიონის სიმწიფე

ჩვენში არ არის ადამიანი, რომელიც ასე თუ ისე ერკვევა სპორტში და არ იცნობდეს XVII ოლიმპიური თამაშების უძლიერეს სტაიერს პეტრე ბოლოტნიკოვს. იგი 31 წლისაა და, როგორც სპორტის სპეციალისტები ამბობენ, ნამდვილი სტაიერული სიმწიფისაა. 1957 წელს ბოლოტნიკოვი ამოფარებული იყო სარბენი ბილიკის ტიტანის — ვლადიმერ კუცის ფართო ზურგს და მისი გვარის ბოლოს გაკვირვების ნიშანი მანამ არ დასვეს, სანამ ავსტრალიელ ა. ლაურენსს მესამე საერთაშორისო მეგობრულ თამაშებში არ მოუგო, მაგრამ ეს პირველი ნაბიჯი არ ჩათვალეს დიდ გამარჯვებად. მაშინ სარბენ ბილიკებზე გამოდიოდა ვ. კუცი, რომლის შესანიშნავმა წამებმა გიპნოზი გაუკეთა თითქმის ყველას, ხოლო ბოლოტნიკოვის წამები დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველი იყო.

დაამყარა რა 5 და 10 კილომეტრზე რბენაში ფენომენალური რეკორდები, სარბიელი დატოვა სარბენი ბილიკის რაინდმა ვლადიმერ კუცმა. მემკვიდრეებისათვის გზა ხსნილი იყო, მაგრამ იგი ძალზე მძიმე გადასალახავი აღმოჩნდა. წარმოუდგენელი იყო, რომ ვინმე შეძლებდა ვ. კუცის რეკორდების—13.35,0 (5000 მ) 28.20,4 (10.000 მ) გაუმჯობესებას. სიმართლე უნდა ითქვას, რომ პ. ბოლოტნიკოვი ვერ ბედავდა ამაზე ფიქრსაც კი. ასე გავიდა ერთი წელი, მეორე. პ. ბოლოტნიკოვი დაძაბულად შრომობდა, დაუღალავად ფარავდა კილომეტრებს. ეუფლებოდა წინამორბედთა მემკვიდრეობას, ცდილობდა გაჰყოლოდა მათ კვალს. როცა ყველაფერი ათვისებული იქნა, ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო საკუთარი გზის პოვნა.

ყველას ახსოვს, როგორ აცლიდა ფეხებიდან ნიადაგს მეტოქეებს ვ. კუცი. მისი კონკურენტები იმდენად არაქათგამოცლილები იყვნენ, რომ პირველობისათვის ფიქრიც კი არ შეეძლოთ. ბოლოტნიკოვს ასეთი რამის გაკეთება არ შეეძლო. იგი სხვაგვარი ფიზიკური და მორალური თვისებების ადამიანი იყო.

რომის ოლიმპიური თამაშების დროს 10.000 მეტრზე რბენის წინ, რომ გამარჯვება რეალური ყოფილიყო, ბოლოტნიკოვი და მისი მწვრთნელი გ. ნიკიფოროვი შეჩერდნენ ციფრზე—28.45,0. ყველაფერი გასაგები იყო. ბოლოტნიკოვმა დაიწყო რბენა ისე, რომ ამ დროში ჩატეულიყო, მაგრამ მეტოქეებმა და მათ შორის ჰ. როდიცკიმ (გდრ), არ მისცეს ამის მოსვენება. პ. ბოლოტნიკოვი იძულებული გახდა დაერღვია გრაფიკი და ეჩვენებინა 28.32,2. მოჭიდავე და მწვრთნელი ასეთ მოულოდნელ სიურპრიზს არ მოელოდნენ. ახლა საჭირო იყო სტაიერული მწვერვალის გენერალური შტურმისათვის მზადება.

ორი თვის შემდეგ პ. ბოლოტნიკოვმა 11,6 წამით გააუმჯობესა კუცის რეკორდი 10 კილომეტრზე რბენაში. შემდეგ მან მიზანში ამოიღო მისი თანამემამულის მეორე მსოფლიო რეკორდი. მაგრამ... ჯერჯერობით ვ. კუცი კვლავ მსოფლიო რეკორდსმენია.

ამ სეზონში ჩვენ ვნახეთ ოლიმპიური ჩემპიონის რბენის ახალი მანერა. სრული სიმწიფე, რის წყალობითაც მას შეეძლო გასწორებოდა ყველაზე საშიშ მეტოქეებსაც კი. გაიზარდა და მრავალფეროვანი გახდა სიჩქარეთა დიაპაზონი. პ. ბოლოტნიკოვი ყველა გარბენის ლიდერია, რომელშიც კი იგი მონაწილეობს. თვალებში გეცემათ შესანიშნავი სპორტსმენის ღრმა, განუმეორებელი ინდივიდუალობა და რბენის მანერა.

**ი. ვლადიმიროვი,**
**„ნოვოსტის" სააგენტოს სპორტული მიმომხილველი**

* * *

**სურათებზე: მარცხნივ — მსოფლიო რეკორდსმენი 10 ათას მეტრზე რბენაში პ. ბოლოტნიკოვი; მარჯვნივ — პ. ბოლოტნიკოვი და მისი მწვრთნელი გ. ნიკიფოროვი.**

# ფიშერმა იჩივლა

ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო მეცენატები დაინტერესდნენ ვინაა მათ ქვეყანაში პირველი მოჭადრაკე—ფიშერი თუ რეშევსკი. ამისათვის მეცენატებმა ფული არ დაინანეს და გამართეს ორი უძლიერესი ამერიკელი მოჭადრაკის მატჩი.

როგორც ადრე ვიუწყებოდით ეს შერკინება მოულოდნელად დამთავრდა მაშინ, როცა ანგარიში 5,5 : 5,5 იყო. XII პარტია უნდა შემდგარიყო შაბათს. მაგრამ რეშევსკის რელიგიური მოსაზრებების გამო არ შეეძლო თამაში. მაშინ მსაჯებმა პარტია კვირას დანიშნეს. ფიშერი არ დათანხმა ამ გადაწყვეტილებას და არ გამოცხადდა თამაშზე. მსაჯებმა გამარჯვებულად რეშევსკი ჩათვალეს.

დაისვა კითხვა: როგორ განაწილდეს გასამრჯელო. კოლეგიამ სწორედ მიიჩნია ფულის 65 პროცენტი მიეცეს რეშევსკის, ხოლო 35 პროცენტი ფიშერს. მაგრამ ფიშერი არც ისეთი მიამიტია, რომ დათანხმებოდა ამას. მან იჩივლა აშშ სამოქალაქო სასამართლოში. ახლა აქ უნდა იმსჯელონ, თუ რამდენად მართებული იყო საჭადრაკო მსაჯების გადაწყვეტილება. კომპეტენტური ადამიანები ფიქრობენ, რომ არის შანსი ფიშერმა მოიგოს პროცესი, რადგან ორთაბრძოლის დებულებაში ერთი სიტყვაც არაა თქმული რეშევსკის პრივილეგიაზე რელიგიური მოსაზრებათა გამო.

# ახალი რეკორდი

რიო-დე-ჟანეიროს 50-მეტრიან აუზში გამართულ შეჯიბრებაზე ბრაზილიელმა მანოელ დოს სანტოსმა 100 მ თავისუფალი სტილით გაცურა 53,6-ში და გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, რომელიც ამერიკელ ს. კლარკს ეკუთვნოდა და 54,4-ს უდრიდა. აღსანიშნავია, რომ სანტოსის საუკეთესო შედეგი მიმდინარე წელს არ გაცილებია 55,0 წამს და ნაჩვენები იყო იაპონიაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე.

| №: | გ უ ნ დ ე ბ ი: | შეხვედრის შედეგი | დარტყმების რაოდენობა: I ტაიმი | II ტაიმი | სულ დარტყმა | მ ა თ გ ა ნ: გოლი | აუტი | აიღო მეკარემ, მოხვდა ძელს |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | „დინამო" (კიევი) — „დინამო" (თბილისი) | 1:0 | 17 (11) | 10 (4) | 27 (15) | 1 (0) | 18 (11) | 8 (4) |
| 2 | „დინამო" (თბილისი) — „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 4:0 | 15 (8) | 16 (9) | 31 (17) | 4 (4) | 16 (5) | 11 (8) |
| 3 | „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) | 4:2 | 15 (5) | 16 (8) | 31 (13) | 6 (2) | 9 (3) | 16 (8) |
| 4 | „ლოკომოტივი" (თბილისი) — „კაირატი" (ალმა-ატა) | 2:0 | 19 (17) | 10 (7) | 29 (24) | 2 (2) | 20 (15) | 7 (6) |
| 5 | ცსკა (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) | 5:0 | 12 (3) | 13 (3) | 25 (6) | 5 (0) | 14 (6) | 6 (0) |
| 6 | „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ვილნიუსი) | 3:1 | 17 (13) | 14 (7) | 31 (20) | 4 (3) | 12 (6) | 15 (11) |
| 7 | „დინამო" (თბილისი) — „დაუგავა" (რიგა) | 2:1 | 14 (12) | 11 (5) | 25 (17) | 3 (2) | 14 (10) | 8 (5) |
| 8 | „დინამო" (თბილისი) — „ასტონ ვილა" (ინგლისი) | 2:0 | 6 (6) | 12 (7) | 18 (13) | 2 (2) | 12 (9) | 4 (2) |
| 9 | „ლოკომოტივი" (თბილისი) — სკიფ-ი (ტალინი) | 2:0 | 13 (12) | 16 (12) | 29 (24) | 2 (2) | 15 (14) | 12 (8) |
| 10 | „დინამო" (თბილისი) — „ავანგარდი" (ხარკოვი) | 1:0 | 16 (5) | 14 (8) | 30 (13) | 1 (1) | 10 (4) | 19 (8) |
| 11 | „დინამო" (თბილისი) — სკა (როსტოვი) | 1:1 | 15 (9) | 15 (7) | 30 (16) | 2 (1) | 13 (4) | 15 (11) |
| 12 | „ლოკომოტივი" (თბილისი) — „სელმაში" (ლიეპაია) | 3:0 | 13 (12) | 31 (20) | 44 (32) | 3 (3) | 20 (13) | 21 (16) |
| 13 | „ლოკომოტივი" (თბილისი) — „რიწა" (სოხუმი) | 3:1 | 14 (12) | 12 (7) | 26 (19) | 4 (3) | 13 (9) | 9 (6) |
| 14 | „დინამო" (კიევი) — „დინამო" (თბილისი) | 1:0 | 15 (9) | 13 (8) | 28 (17) | 1 (0) | 19 (11) | 8 (6) |
| | სულ 14 თამაშში — | | 201 (134) | 203 (121) | 404 (255) | 40 (25) | 205 (120) | 159 (89) |

# 10 პროცენტი, ერთობ მცირეა

ფეხბურთის მოყვარულებისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გაეცნონ ზოგიერთ იმ „ტექნიკურ პროდუქციას", რასაც „ქმნიან" ტყავის ბურთის ჩვენი ოსტატები. აქ ლაპარაკი იქნება მიმდინარე სეზონში ზოგიერთ ამხანაგურ და კალენდარულ მატჩებში „ა" და „ბ" კლასის გუნდების ფეხბურთელთა მიერ შესრულებულ გადამწყვეტი დარტყმების რაოდენობასა და მათ ხარისხზე. ამასთან ვფიქრობთ, თვით ფეხბურთელებიც სათანადო ანალიზს გაუკეთებენ ქვემოთ მოყვანილ ციფრებს.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით ჩაგვეწერა ისეთი საინტერესო, ძნელად დასავიწყარი მატჩი, როგორიც იყო თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" მეორე წრის შეხვედრა თბილისში, რის გამო არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ კარში დარტყმების რამდენ პროცენტს შეადგენდა ამ დღეს ორივე გუნდის მიერ გატანილი 10 გოლი.

ვერ ვნახეთ თბილისელთა უკანასკნელი მატჩი ტაშკენტის „პახტაკორთანაც", რომელიც თბილისელთა გამარჯვებით 4:1 დამთავრდა. მაგრამ ციფრები უკვე აშკარად მეტყველებენ, რომ ამ დღეს თბილისის „დინამოელთა" დარტყმები უფრო ზუსტი უნდა ყოფილიყვნენ. სამწუხარო ის არის, რომ გადამწყვეტი დარტყმებიდან კარის აღების პროცენტული მონაცემები თბილისელ ფეხბურთელებში არასტაბილურია და ხშირად გვაკვირვებს თავისი რაოდენობითა და ხარისხით. თბილისელებს ჰქონდათ ამ მხრივ შესანიშნავი მატჩები „ტორპედოსთან" — 6:4, მოსკოვის „ლოკომოტივთან" — 4:0, „პახტაკორთან" — 4:1 და სხვა. სამაგიეროდ რამდენიმე შემთხვევაში საგრძნობლად გაანაწყენეს გულშემატკივრები, როცა წააგეს 0:5 — „ლოკომოტივთან", 0:1 — კიევის „დინამოსთან". ხაკუთარ სტადიონზე, ფრედ ითამაშეს როსტოვის არმიელთა გუნდთან და სხვა.

კარში ზუსტი დარტყმების (იგულისხმება გოლები) საშუალო შედეგი „ა" და „ბ" კლასის მთელ რიგ გუნდებთან არ ცილდება 10 პროცენტს. ამასთან საინტერესოა ისეთი დეტალიც, როგორიც თბილისელებს ჰქონდათ (აშკარა უპირატესობა კარში დარტყმებში) დამარცხების შემთხვევაშიც კი. ასე მაგალითად, კიევის „დინამოსთან" შეხვედრაში თბილისელმა თავდამსხმელებმა 17 დარტყმა განახორციელეს კარში, მათ შორის მატჩის პირველ ნახევარში 9-ჯერ, მეორე ნახევარში — 8-ჯერ, აქედან 11-ჯერ ბურთი აცდა კარს, ხოლო 6 შემთხვევაში იგი მოიგერია მეკარემ.

კიეველებმა შესაბამისად 6 და 5 დარტყმა განახორციელეს ერთი (საჯარიმოთი), ერთი მათგანი დამთავრდა კარის აღებით, ხოლო სხვა 10 დარტყმიდან 8 ასცდა კარს, ხოლო ორი აიღო მეკარემ. ამრიგად, ფეხბურთის ოსტატთა მდგომარეობა დარტყმების სიზუსტეში მეტად არასახარბიელოა.

ამას ადასტურებს აქ მოყვანილი ცხრილებიც, სადაც ფრჩხილებში ნაჩვენებია თბილისის გუნდების ციფრობრივი მონაცემები.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, არის მატჩები, სადაც სიზუსტის შედეგი აღწევს 15-20 პროცენტს, მაგრამ არის ისეთი მატჩებიც სადაც კარში დარტყმების შედეგად გატანილი გოლების პროცენტული მონაცემები არ ცილდება — 3 პროცენტს (!).

კომენტარები ზედმეტია, ჩვენი ფეხბურთელები გაცილებით მეტს ურტყამენ მოწინააღმდეგის კარში, მაგრამ სასურველია, რომ შედეგიც უკეთესი აღმოჩნდეს.

ზუსტი დარტყმების 10 პროცენტი — ეს მეტისმეტად მცირეა.

ამრიგად, საქართველოს ფეხბურთელების გადაუდებელ ამოცანას შეადგენს კარში დარტყმის სიზუსტის სრულყოფა.

**ე. ანტონოვი,**
**ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტ-თამაშების კათედრის უფროსი მასწავლებელი.**

**რედაქტორი ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05667